ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7994758

ნომერი: AR11149177

თარიღი : 23.06.2026

გაცემის თარიღი : 07.07.2026

გაცნობის თარიღი : 07.07.2026

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, განთიადის ქუჩა, N 23;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე დადეგაშვილი პ/ნ 24001041961
- თბილისი, ვეფხისტყაოსნის 20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები
  - სახელოსნო (სამკერვალო, სამხატვრო, სამჭედლო და სხვა)

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 23/06/2026 წლის AR11149177 განცხადება, რომლითაც ითხოვთ (ს/კ: 01.17.02.041.066) არსებულ მიწის ნაკვეთზე ინდივიდუალური სამეწარმეო საქმიანობის საამქროს, სამეზობლო თმენისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით, (სოფლის დასახლებებისთვის) განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
საპროექტო მიწის ნაკვეთზე, № 2244788 ბრძანებით (16/10/2015) შეთანხმებულია პროექტი რომელიც არ ცდება სზ-2 ის პარამეტრებს, შესაბამისად საპროექტო მიწის ნაკვეთიც განიხილება სზ-2 ით.
საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) — დაბალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს;
საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) -ში ინდივიდუალური სამეწარმეო საქმიანობის საამქრო, სამეზობლო თმენისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით (სოფლის დასახლებებისთვის) არ არის დასაშვები სახეობა და აღნიშნული საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, ამ ეტაპზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.